

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2017 წლის 31 დეკემბერს

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება:

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მომრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება.....	9

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. ახალი ფასს-ის მიღება.....	11
3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	13
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	21
5. წმინდა საპროცენტო შემოსავლები	22
6. სხვა შემოსავალი	23
7. პერსონალის ხარჯი	23
8. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	23
9. დაბეგვრა	24
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	25
11. რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოებაში ან ზარალში ასახვით.....	26
12. გაცემული სქესები.....	26
13. სხვა აქტივები	30
14. ძირითადი საშუალებები	31
15. არამატერიალური აქტივები	32
16. ინვესტიციები შვილობილ კომპნაიებში.....	32
17. მიღებული სქესები	33
18. სხვა ვალდებულებები.....	35
19. სააქციო კაპიტალი და რეზერვები.....	36
20. პოტენციური ვალდებულებები	37
21. ფინანსური ინსტრუმენტები- რისკების მართვა	37
22. კაპიტალის მართვა	43
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	43
24. ბალანსის შემდგომი მოვლენები.....	44

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალის“ მენეჯმენტსა და მეწილეებს
მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალის“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშებისა და ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა ინდივიდუალური განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი ინდივიდუალური საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია გახსნას ინფორმაცია საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომაპნიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმაზე, შეიცავს თუ არა მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოსახატად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.



სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ
პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი
მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც
ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ქუშუნაშვილი
გარიგების პარტნიორი

თბილისი, საქართველო
24 აპრილი, 2018 წელი

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

('000 ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი	5	28,448	23,531
საპროცენტო ხარჯი	5	(3,493)	(2,940)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		24,955	20,591
სესხის გაუფასურების ხარჯი	12	(2,234)	(1,133)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ანარიცხის შემდეგ		22,721	19,458
სხვა შემოსავალი	6	1,193	2,002
წმინდა მოგება (ზარალი) მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტებისგან	11	(1,204)	863
პერსონალის ხარჯი	7	(5,920)	(3,629)
ინვესტიციების გაუფასურების ხარჯი		(447)	(308)
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(6,861)	(5,336)
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		(1,884)	2,144
მოგება დაბეგვრამდე		7,598	15,194
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(1,491)	(2,408)
საანგარიშებო წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		6,107	12,786

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2018 წლის 24 აპრილს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი
დირექტორი

პაატა დაიაური

ფინანსური დირექტორი

ლევან ფანჩულიძე

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“
 ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ('000 ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	5,048	2,154	4,146
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	-	1,809	287
გაცემული სესხები	12	60,906	46,320	39,374
სხვა აქტივები	13	758	963	458
ძირითადი საშუალებები	14	1,258	1,326	907
არამატერიალური აქტივები	15	470	518	364
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		780	-	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი	9	861	563	363
ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში	16	919	1,366	1,674
მთლიანი აქტივები		71,000	55,019	47,573
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	17	31,858	20,267	23,915
გადასახდელი მოგების გადასახადი		-	745	1,304
სხვა ვალდებულებები	18	785	498	475
მთლიანი ვალდებულებები		32,643	21,510	25,694
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	19	4,175	4,175	4,175
საემისიო კაპიტალი	19	2,068	2,068	2,068
გაუნაწილებელი მოგება		32,114	27,266	15,636
მთლიანი კაპიტალი		38,357	33,509	21,879
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		71,000	55,019	47,573

10-44 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ
ნაწილს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“
 კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება
 საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს
 (‘000 ლარში)

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ბალანსი 2016 წლის 1 იანვარს	4,175	2,068	15,636	21,879
საანგარიშგებო წლის მოგება და სრული შემოსავალი	-	-	12,786	12,786
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	(1,156)	(1,156)
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბერს	4,175	2,068	27,266	33,509
საანგარიშგებო წლის მოგება და სრული შემოსავალი	-	-	6,107	6,107
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	(1,259)	(1,259)
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერს	4,175	2,068	32,114	38,357

10-44 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ
ნაწილს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“
 ფულადი სახსრების მომრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება
 საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს
 ('000 ლარში)

	2017	2016
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტი	24,978	20,819
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	69,570	61,036
მიღებული ჯარიმები	1,015	1,543
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	(82,464)	(60,995)
გადახდილი ადმინისტრაციული ხარჯები	(8,352)	(7,626)
გადახდილი ხელფასები	(4,391)	(2,630)
სხვა შემოსავალი	1,078	1,215
სხვა გასავალი	(739)	(414)
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები	1,809	(1,522)
მოგებაში ან ზარალში ასახვით		
გადახდილი გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	(1,490)	(1,334)
გადახდილი მოგების გადასახადი	(3,335)	(3,158)
გადახდილი პროცენტი	(4,167)	(3,631)
საოპერაციო საქმიანობაში შემოსული (გამოყენებული) წმინდა ფულადი	(6,488)	3,303
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(462)	(881)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(462)	(881)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები თამასუქების გარეშე	25,212	12,204
გადახდილი სესხები თამასუქების გარეშე	(11,492)	(19,969)
თამასუქებით შემოსული თანხა	3,466	11,322
გადახდილი თამასუქები	(5,118)	(8,267)
გადახდილი დივიდენდები	(1,259)	(1,156)
ფინანსური საქმიანობიდან შემოსული (გამოყენებული) წმინდა ფულადი	10,809	(5,866)
სახსრები		
გაზრდილი (შემცირებული) წმინდა ფულადი სახსრები	3,859	(3,444)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	2,154	4,146
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(965)	1,452
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	5,048	2,154

10-44 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“ (შემდგომში „კომპანია“) „PFS Holdings-ის“ სახელით დაარსდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2009 წლის მარტში, საქართველოში, თბილისში. 2010 წლის ივნისში კომპანიამ შეიცვალა სახელწოდება და დაირქვა შპს „სვის კაპიტალი“, ხოლო ამავე წლის ოქტომბერში ხელახლა შეიცვალა სახელწოდება და დარეგისტრირდა, როგორც შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“. ერთი წლის შემდეგ კომპანია გადაკეთდა სააქციო საზოგადოებად და დარეგისტრირდა სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალის“ სახელით. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, პეტიონის ქ. №34. კომპანია რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 205274273.

კომპანია ფლობს შპს „სვის კაპიტალ გრუპის“ 100%-ს, ხოლო თავად შპს „სვის კაპიტალ გრუპი“ ფლობს შპს „სვის კაპიტალ პლუსის“ (დაფუძნებული 2011 წელს), შპს „სვის კაპიტალ ავტოსა“ (დაფუძნებული 2011 წელს) და შპს „სვის კაპიტალ ფროფერთის“ (დაფუძნებული 2013 წელს) 100%-იან წილებს. 2016 წელს კომპანიამ დაარსა ახალი შვილობილი - სს „ზიპ კრედიტი“ და ფლობს მისი აქციების 85%-ს. 2017 წლის 18 იანვარს მისი წილი სს „ზიპ კრედიტის“ კაპიტალში შემცირდა 7%-მდე, ხოლო მარტის დასაწყისში ჯგუფიდან გავიდა დარჩენილი წილიც. აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება აერთიანებს მხოლოდ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალის“ ფინანსურ ანგარიშგებებს.

კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საბჭო. კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებსაც ნიშნავს აქციონერთა საბჭო. კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მიკრო სესხების გაცემა. კომპანია ისწრაფების რომ გახდეს ლიდერი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქართულ ბაზარზე და მომხმარებელს სთავაზობს პროდუქტების მრავალფეროვან არჩევანსა და კვალიფიციურ თანამშრომლებს. კომპანიის ფინანსური პროდუქტებია: ინდივიდუალური სამომხმარებლო სესხები, ავტო სესხები და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები.

2017 წლისთვის კომპანიასა და მის შევილობილებს საქართველოს მასშტაბით აქვთ სათაო ოფისი და 16 ფილიალი (16 ფილიალი 2016 წლის ბოლოს).

კომპანიის აქციონერები არიან:

აქციონერები	31 დეკემბერი 2017, %	31 დეკემბერი 2016, %	1 იანვარი 2016, %
შპს „Zohar derivatives interest“	31.00%	31.00%	31.00%
სს „სვის პოლდინგსი“	30.55%	30.55%	30.55%
ეიალ ელბოიმი	30.45%	30.45%	30.45%
ამირ იოელი	3.60%	2.60%	2.60%
ალონ ბეკორი	2.40%	2.40%	2.40%
პაატა დაიაური	2.00%	3.00%	3.00%
სულ	100.00%	100.00%	100.00%

კომპანიას აკონტროლებს სამი პიროვნება: დავიდ ბეხორი, რომელიც ფლობს სს „სვის პოლდინგსის“ აქციების 100%-ს, ზოპარ რაპაპორტი, რომელიც ფლობს შპს „Zohar derivatives interest“-ის წილის 100%-ს და ეიალ ელბოიმი. ამ პიროვნებებს აქვთ მაღალუფლება საკუთარი შეხედულებებისა და პირადი სარგებლისათვის მართონ კომპანიის ოპერაციები.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

2. ახალი ფასს-ის მიღება

ა) 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არ ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია ორგანიზაციის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა. ამასთან ბასს 7 „ფულადი ნაკადები“-ში შესული ცვლილება, ვალდებულებების რეკონსილაციის შესახებ, პირველად აისახა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მე-16 განმარტებით შენიშვნაში.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა დაცვა სავალდებულოა 2018 წლი 1 იანვრიდან და რომლებიც კომპანიას არ დაუწერებავს ნაადრევად. ქვემოთ მოცემულია სია იმ სტანდარტებისა, რომლებზეც კომპანია დასაბუთებულად ფიქრობს, რომ იქნება გამოყენებადი სამომავლოდ, შესაბამისად, გეგმავს დანერგვას მათი ძალაში შესვლის თარიღიდან.

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.

2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. ეს სტანდარტი ეფექტური იქნება ყოველი წილსთვის, 2018 წლის 1 იანვრიდან.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ორგანიზაციამ შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთ ეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება.

მოდელის ზემოხსენებული ხუთი საფეხურია:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე „კონტროლი“ კლიენტს გადაეცემა.

ამჟამად, კომპანია აფასებს ახალი სტანდარტის შესაძლო გავლენას მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები: კლასიფიკაცია და გაზომვა“

ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას და გაზომვას.

ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სხვის კაპიტალი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

2. ახალი ფასს-ების მიღება (გაგრძელება)

ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინგესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავლაში. ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის“ მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის სპირისპირო. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომელიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას კომპანიის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 კომპანიას სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა „ეკონომიკური ურთიერთობის“ პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები კომპანიის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ახალი სტანდარტის შესაძლო გავლენას მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე. სტანდარტი ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ჩანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელი ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას.

ამჟამად, კომპანია აფასებს ახალი სტანდარტის შესაძლო გავლენას მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასს) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს—ები) შესაბამისად. ეს არის კომპანიის პირველი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს—ების შესაბამისად და ფასს 1 – “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება” იქნა გამოყენებული.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2018 წლის 24 აპრილს.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

სააღრიცხვო პოლიტიკი, რომლებიც მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში გამოყენებულ იქნა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული შესაბამისი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას (ფასს-ზე გადასვლის თარიღი).

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას. ფასს-ის შესაბამისი პირველი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს კომპანიას არ გაუკეთება რაიმე სახის კორექტირება. იქიდან გამომდინარე, რომ ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონდა არსებითი გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ მომზადა აღნიშნულთან დაკავშირებით რეკონსილაცია.

ფასს-ების შესაბამისად ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. მსჯელობის საფუძველზე მენეჯმენტმა უნდა გამოიყენოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

ქვემოთ მოცემულია აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკები ვრცელდება წარდგენილ ყველა პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის ნათევამი.

შეფასების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა მოგება-ზარალში ასახული რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისა. ისინი აღრიცხულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მომავალში. მენეჯმენტსა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების გამოყენება საფუძვლიანია.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ამინისტრი კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისის სხვაობები აისახება მოვებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთა შორის კონვერტაცია არ ეხება არამონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს, ასევე 2016 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
ამჟღალური	ევრო	
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	2.5922	3.1044
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6468	2.7940
კურსი 2016 წლის 1 იანვრისათვის	2.3966	2.6137

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკი ვრცელდება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშებაში წარდგენილ ყველა პერიოდზე.

ფინანსური ინსტრუმენტები

ქვემოთ მოცემული ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობებით:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. რეალური ღირებულება არის მიმდინარე მოსათხოვი თანხა ფინანსური აქტივებისთვის და მიმდინარე გადასახდელი თანხა ფინანსური ვალდებულებებისთვის.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეპივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მარკეტინგებილი ორგანიზაციებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახდებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი მირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის - ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივები

ბასს 39-ის ფარგლებში ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც დაფარვამდე შენახული ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის, სესხების და მოთხოვნების გათვალისწინებით, ან როგორც გასაყიდად ვარგისი ფინანსური აქტივები. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული ოპერაციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივების შესყიდვას ან გამოშვებას და საბოლოოდ აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრადი გადახდებით და ფიქსირებული დაფარვის ვადით კლასიფიცირდება, როგორც ფლობილი დაფარვამდე, როდესაც კომპანიას გადაწყვეტილი აქვს და შეუძლია მათი განკარგვა დაფარვამდე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგებაზარალის ანგარიშგებაში.

გაუფასურების ხარჯი დაითვლება რისკის შემცველი აქტივების ანალიზის საფუძველზე და ასახავს იმ თანხას, რაც, მენეჯმენტის აზრით, შესაბამება აღნიშნული რისკის შემცველ აქტივებთან დაკავშირებულ დანაკარგებს. ინდივიდუალურად არსებითთანხიანი რისკის შემცველი აქტივების ანარიცხები კეთდება ამ აქტივების ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, ხოლო ინდივიდუალურად არაარსებითთანხიანი რისკის შემცველი აქტივების ანარიცხები - მათი ინდივიდუალურად ან ჯგუფურად შეფასების საფუძველზე. გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნით ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკ-მახასიათებლების მიხედვით.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას, კომპენსირების დღეს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სეის ვაპიტალი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

('000 ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არ შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარი გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები დაკლასიფიცირებულია მიღებულ სესხებად, სუბორდინირებულ სესხებად და სხვა ვალდებულებებად. ფინანსური ვალდებულებების საწყისი აღიარება ხდება ოპერაციის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის შესაბამისად.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა ამორტიზებადი ღირებულებით და ანაწილებს საპროცენტო ხარჯებს შესაბამის პერიოდებზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავლში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა, სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ფინანსური აქტივი ან ფინანსურ აქტივთა ჯგუფი გაუფასურებულია და გაუფასურების ზარალი წარმოშობილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება გაუფასურებისა (რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს), გამოწვეული აქტივის საწყისი შეფასების შემდეგ მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენის შედეგად „ზარალის გამომწვევი მოვლენა“) და თუ ამ მოვლენამ (თუ მოვლენებმა) გავლენა იქონია ფინანსური აქტივიდან ან ფინანსურ აქტივთა ჯგუფიდან ნავარაუდებ ფულად ნაკადებზე. მირითადი ფაქტორები, რომელიც გაათვალისწინება ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას არის ვადაგადაცილება და უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის შესაძლებლობა.

ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

- მსესხებლის ფინანსური ინფორმაციიდან ჩანს, რომ მას აქვს ფინანსური სიძნელეები;

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- როდესაც მსესხებელი იწყებს გაკოტრების ან ფინანსური რეკომპანიის პროცესს;
- ეროვნული და ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორების გავლენის გამო სესხის დროული გადაუხდელობა.

- მნიშვნელოვნად შემცირდა უზრუნველყოფის საგნის ღირებულება გარე ფაქტორების გამო.

თავდაპირველად მენეჯმენტი აფასებს არსებობს თუ არა თითოეული დიდი მოცულობის მქონე აქტივის გაუფასურების ობიექტური საფუძველი და მცირე მოცულობის აქტივების ცალ-ცალკე ან ერთობლივად გაუფასურების საფუძველი. თუ დადგინდა, რომ არ არსებობს გაუფასურების ობიექტური საფუძველი, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების იმ ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ერთობლივად. აქტივები, რომელთა შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ არის ჩართული აქტივების გაუფასურების კოლექტიური შეფასების პროცესში. კომპანია ახორციელებს იპოთეკური და ავტო სესხების ინდივიდუალურ შეფასებას გაუფასურებაზე, ხოლო სხვა სახეობის სესხებზე ჯგუფურ გაუფასურებას.

ჯგუფური გაუფასურების დროს ფინანსური აქტივების დაჯგუფება ხდება მსგავსი საკრედიტო რისკების მიხედვით. ფინანსური აქტივების ჯგუფისთვის მომავალი ფულადი ნაკადები ფასდება წარსული გამოცდილების საფუძველზე, ამასთანავე გაითვალისწინება ის მიმდინარე ფაქტორები, რომელსაც ადგილი არ ქონია წარსულში, და გამოირიცხება ის ფაქტორები, რომელსაც ადგილი ქონდა წარსულში და მიმდინარე პერიოდში აღარ აქვს ადგილი. იმ შემთხვევაში თუ მოხდება გაცემული სესხის რესტრუქტურიზაცია, სესხის გაუფასურების განსაზღვრისთვის გამოიყენება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რომლითაც ხდება მომავალი ფულადი ნაკადების დადისკონტირება.

გაუფასურების ხარჯი აღირიცხება გაუფასირების რეზერვზე, რომელიც ამცირებს ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე (რომელიც არ მოიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს), რომელიც დადისკონტირებულია თავდაპირველად განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას გაითვალისწინება უზრუნველყოფის საგნის რეალური ღირებულება, თუ მისი რეალიზაცია მოსალოდნელია.

დანაკარგების შეფასება მოიცავს სუბიექტურ ფაქტორს. კომპანიის მენეჯემენტს მიაჩნია, რომ გაუფასურების ხარჯი არის საკამრისი, რისკის კვეშ მყოფი აქტივებისთვის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, თუმცა შესაძლებელია, რომ მომავალი პერიოდის ხარჯი აღემატებოდეს მენეჯმენტის შეფასებას.

ფასს 13 - რეალური ღირებულების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს, რომ ანგარიშგებაში გაიშიფროს რეალური ღირებულების გაზომვის მეთოდები რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით. აღნიშნული იერარქია ასახავს შეფასებისას გამოყენებული ინფორმაციის მნიშვნელოვნებასა და დაკვირვებადობას. რეალური ღირებულების იერარქია უნდა მოიცავდეს შემდეგ დონეებს:

- მოქმედ ბაზრებზე არსებული იდენტური აქტივების კვოტირებული ფასები (1-ლი დონე);
- სხვა, კვოტირებული ფასებისაგან განსხვავებული 1-ელ დონეში შემავალი ინფორმაცია, რომლებზეც შესაძლებელია პირდაპირი (ფასები) ან არაპირდაპირი (ფასებიდან გამომდინარე) გზებით დაკვირვების განხორციელება (მე-2 დონე);
- ინფორმაცია, რომლის გადამოწმება შეუძლებელია ბაზარზე დაკვირვებით (მე-3 დონე). რეალური ღირებულების იერარქიის ის დონე, რომელშიც დაკლასიფიცირდება რეალური ღირებულების განსაზღვრის მეთოდი, უნდა შეირჩეს რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული კველაზე დაბალდონიანი ინფორმაციის საფუძველზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მიეკუთვნებიან ერთ-ერთ დონეს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს
(‘000 ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც რეალური ღირებულებით არიან აღრიცხულნი (მე-2 დონე), მოცემულია მე-11 და მე-13 განმარტებით შენიშვნაში.

გირაოში დარჩენილი აქტივები

გირაოში დარჩენილი აქტივები მოიცავს არაფინანსურ აქტივებს, რომელიც კომპანიამ მიიღო ვადაგადაცილებული სესხების სანაცვლოდ. ამ აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომი აღრიცხვა შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

გირაოში დარჩენილი აქტივები, რომლებიც კლასიფიცირებულია მარაგებად, შეფასებულია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალება ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის თანხით.

მომდევნო ხარჯები მიეკუთვნება აქტივის თვითღირებულებას ან აღიარებულია განცალკევებულ აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივისგან კომპანია ელოდება მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის ფასის განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ჩამოწერილი ნაწილის ღირებულება კი აკლდება ამ აქტივის თვითღირებულებას. ყველა სხვა შეკეთებისა და შენახვის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც მოხდა აღნიშნული ხარჯების გაწევა.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებებისთვის ჯგუფს განსაზღვრული აქვს შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	30
ავტომობილები	5
ავეჯი	5
აპარატურა და მოწყობილობები	3-6
იჯარის გაუმჯობესება	4-7

მიმდინარე ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალში თუ ისინი არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის მოთხოვნებს.

ყოველი საანგრიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განიხილავს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს. საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი ცვლილება.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრული აქვს 7 წლით და ძირითადად წარმოადგენს დაკაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამებს.

შესყიდული კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზდება იმ გაწეული დანახარჯების მიხედვით, რაც გაიწევა პროგრამების შესასყიდად და მათ სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. სხვა ყველა კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული ხარჯი, მაგალითად, მისი შენახვის ხარჯი, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელშიც არის განხორციელებული.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივად, შვიდი წლის განმავლობაში.

გუდვილის გარდა სხვა აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს საკუთარ მატერიალურ აქტივებს, რათა განსაზღვროს, ადგილი ხომ არ აქვს გაუფასურების ინდიკატორებს. თუ არსებობს ასეთი სახის ინდიკატორი, ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება შეფასებულია მისი გაუფასურების ზარალის (არსებობის შემთხვევაში) გასაანგარიშებლად. თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება, მაშინ კომპანია აფასებს ფულის მაგენერირებელ იმ ერთეულს, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული აქტივი. თუ გონივრულად და თანმიმდევრულად არის შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი, ადმინისტრაციული აქტივებიც მიეკუთვნება ფულის მაგენერირებელ ერთეულს, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მიეკუთვნება ხდება ფულის მაგენერირებელ ყველაზე მცირე იმ ერთეულზე, რომლისთვისაც არის გონივრულად და თანმიმდევრულად შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი.

აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება მოგებისა და ზარალის ანაგრიშებაში.

გაუფასურების ზარალის აღდგენის დროს, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულის მაგენერირებელი ერთეული) იზრდება აღდგენით ღირებულებადე, მაგრამ ისე, რომ აღდგენითმა ღირებულებამ არ გადააჭარბოს აქტივის (ფულის მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულებას, წინა პერიოდებში გაუფასურებამდე.

გაუფასურების ზარალის აღდგენა მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშებაში აღიარდება მოხდენისთანავე.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გავადებული გადასახადისგან. გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადასახადი ასევე აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ვალდებულებების საბუღალტრო ბალანსის მიხედვით გაანგარიშების მეთოდით. გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების თანხა იანგარიშება გადასახადის მოსალოდნელი განაკვეთიდან, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული იმ წლებში, როდესაც დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება ანაზღაურებული ან რეალიზებული იყოს. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის აღბათობა, რომ დასაბეგრი მოგების მომავალი თანხები საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივების სარეალიზაციოდ. ბუღალტრული ბალანსის შედგენის თითოეული თარიღისათვის კომპანია აფასებს აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება იმიტომ, რომ ეს არის მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებული იყოს დროებითი სხვაობა. გადავადებული

საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არის გადახურული როდესაც არის კანონიერი უფლება, რომ გადაიხუროს მიმდინარე საგადასახადო აქტივი სადაგადასახადო ვალდებულების მიმართ.

სააქციო კაპიტალი, საემისიო კაპიტალი, სხვა რეზერვები და დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. ჩვეულებრივ აქციებისა და ოპციონების გამოშვებასთან დაკავშირებული ზედნადები ხარჯები აკლდება კაპიტალს, ყოველგვარი გადასახადის გარეშე.

როდესაც სააქციო კაპიტალი იზრდება, ნებისმიერი სხვაობა სააქციო კაპიტალის დარეგისტრირებულ ღირებულებასა (ნომინალური ღირებულება) და რეალურად მიღებულ ღირებულებას შორის აღიარდება საემისიო კაპიტალში.

სხვა რეზერვები წარმოადგენს კომპანიის მიერ გამოცემულ აქციებს, რომლებიც გადაეცათ უკვე არსებულ აქციონერებს სააქციო კაპიტალში წილის გასაზრდელად.

ჩვეულებრივ აქციებთან დაკავშირებული დივიდენდები არის გაუნაწილებელი მოგების განაწილება მათი გამოცხადების პერიოდში.

საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების აღიარება

საპროცენტო ხარჯები და შემოსავლები აღიარდება მოგება-ზარალში დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო შემოსავალი და ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში ჩაირთვება ისეთი შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და მიღებასთან. მაგალითად, საკომისიო შემოსავალი, რომელიც მოიცავს მსესხებლის საკრედიტო მდგომარეობისა და უზრუნველყოფის საგნის შეფასებას.

სხვა შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შესაბამისობაშია გაცემული ან მიღებული სერვისის მოცულობასთან.

ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონონიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში,

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რჩუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოადგენს წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მაგალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

